ორგანული
ქაღალდი
მინა
პლასტმასი
ნარჩენების
გადამუშავება

Clean Up Georgia
დავასუფთაოთ საქართველო

წინამდებარე გამოცემა მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია: კავშირი მდგრადი განვითარებისათვის „ეკოვიჟენი"-ს მიერ პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში" ფარგლებში.
პროექტი დაფინანსებულია შვედეთის მთავრობის მიერ

ავტორი: მადონა პირველაშვილი
კონსულტანტი: ნინო სულხანიშვილი
რედაქტორი: ქეთევან ჭვანია
დიზაინერი: თამარ გრძელიძე

2014 წელი, თბილისი

ecovision.ge

SWEDEN

www.cleanup.ge

მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება/რეციკლირება

ეს წიგნი მოგვითხრობს, რატომ უნდა გადავამუშაოთ ნარჩენები. ნარჩენების გადამუშავებისას გვერად ნაკლები ენერგია და გუნებრივი რესურსები იხარჯება, ვიდრე იმავე პროდუქციის ახალი ნედლეულით წარმოებისას. ასევე, მცირდება ნაგავსაყრელების რაოდენობა და ნაკლები ზიანი ადგება გარემოს.

მოდი, ერთად დავიწყოთ!

ნაგავსაყრელების შემცირება

ნარჩენების გადამუშავებით მცირდება ნაგავსაყრელების რაოდენობა

ბუნებრივი რესურსების დაზოგვა

იზოგება წყალი, ტყე და სასარგებლო წიაღისეული

ენერგიის დაზოგვა

იზოგება ენერგია და ადამიანური რესურსები

ფინანსური ხარჯების შემცირება

პროდუქციის წარმოება ახალი ნედლეულისგან უფრო ძვირია, ვიდრე მეორადი ნედლეულისგან

სარგებელი გარემოსთვის

მცირდება გარემოს დაბინძურება, დაავადებების გავრცელების რისკი და სათბურის აირების გაფრქვევა

ორგანული

ააააა...
ორგანული ნარჩენებისგან
კომპოსტი რომ მზადდება –
ეს უკვე ეიცი

სახლი

კომპოსტერი

ქარხანა

ხის
კონტეინერი

პლასტმასის
ჰაერგამტარი
კონტეინერი

ქაღალდი სად წაიღო იმ მანქანაშ?

სად და ქაღალდის გადამამუშავებელ ქარხანაში

1 ტონა ქაღალდის გადამუშავებით გადავარჩენთ 20 ხეს, დავზოგავთ წყალს და ენერგიას!

ქაღალდის გადამუშავება

მანქანა შედის ქარხნის ეზოში, ცლის შეგროვებულ ქაღალდს და მუყაოს.

ქაღალდი იყრება სპეციალურ მოძრავ ლენტზე და იქიდან შედის დამძუცმაცებელში
დაქუცმაცებული ქალალდი იყრება დიდ ქვაბში, შემდეგ კი ირეცხება საპნიანი წყლით

გარეცხილი ქაღალდი გადადის განიერ ჭურჭელში, ემატება წყალი, ითქვიფება, გადაიქცევა ერთგვაროვან მასად და გადადის ქაღალდის დამამზადებელ დანადგარში.



დანადგარიდან გამოსული მასა იპრესება, შრება და იხვევა რულონებად.

გაშრობის შემდეგ რულონები მიდის საამქროში, სადაც მზადდება სხვადასხვა ხარისხის ქაღალდი.

ამბავი

მეორადად გამოყენება

1 მინის ბოთლის
გადამუშავებით იზოგება
იმდენი ენერგია, რაც
საჭიროა კომპიუტერის
15 წთ მუშაობისთვის!



ამ მანქანას შეგროვებული
მინა გადამამუშავებელი
ქარხნის საწყობში მიაქვს
საწყობი
ქარხანა
მინის გადამამუშავებელი ქარხანა
მინა

პირველ ეტაპზე
მინა ხარისხდება
ფერის მიხედვით

ირეცხება
იმსხვრევა

დამსხვრეული
მინა თავსდება
ღუმელში, დნება
და მიიღება ახალი
პროდუქცია

მილებული ჭურჭელი
კვლავ

გამოიყენება...

მარკეტი

პლასტმასის მეორადი გამოყენება

1 პლასტმასის ბოთლის
გადამუშავებით იზოგება
იმდენი ენერგია, რაც
სჭირდება 60 ვატიანი ნათურის
ნათებას 6 საათის
განმავლობაში!



ამ მანქანას კი პლასტმასის ნარჩენი პლასტმასის გადამამუშავებელ ქარხანაში მიაქვს
აჰა.. ესე იგი სხვადასხვა სახის ნარჩენი სხვადასხვა მანქანით გადაქუთ
პლასტმასის გადამამუშავებელი ქარხანა

გადამამუშავებელ
ქარხანაში
პლასტმასი:

დნება ღუმელში

მიიღება ახალი ნედლეული, საიდანაც მზადდება:

გახსოვდეს:

რკინის და ალუმინის ქილების გადამუშავებით შეიძლება დამზადდეს მანქანის ძარა ან ველოსიპედი!
+
=
არ გადაყაროთ მინის ბოთლები! მინა მრავალჯერ, თითქმის უდანაკარგოდ გადამუშავდება და ინარჩუნებს ხარისხს!
გამოიყენე ფურცლის ორივე გვერდი, შედეგად დაზოგავ ქაღალდს და დაიცავ ხეებს მოჭრისგან!
იფიქრე, როგორ შეიძლება გამოიყენო ნარჩენები
არ გადაყაროთ პლასტმასის ბოთლები ან რკინის ქილები, შეგიძლიათ ისინი ყვავილების ქოთნებად გამოიყენოთ!

ნარჩენს ❤ გადამუშავებას
მინა
www.cleanup.ge
www.ecovision.ge